



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 411/ს
20/10/2022

411-21-4-202210201652



**ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ანასეულის ტერიტორიაზე ი/მ ირინე კოსტავას
სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების
შესახებ**

ი/მ ირინე კოსტავას მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ანასეულის ტერიტორიაზე სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ი/მ ირინე კოსტავას ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ანასეულის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 40 000 მ² ფართობის მქონე (4 ჰა) მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 26.26.50.062), რომელსაც ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, გამენებული აქვს ლურჯი მოცვის (3200 ძირი) და ტყემლის (1500 ნერგი) ბაღი, რისთვისაც 2021 წლის მარტის თვიდან ტერიტორიაზე მოწყობილია წვეთოვანი სარწყავი სისტემა. ტერიტორიას ირგვლივ ესაზღვრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. უახლოესი საცხოვრებელი სახლი ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 580 მეტრით, წყალაღების წერტილიდან - 504 მეტრით, ხოლო რეზერვუარის განთავსებიდან - 460 მეტრით. ობიექტიდან სამხრეთით, დაახლოებით 30 მეტრში გადის საავტომობილო გზა, ხოლო ჩრდილოეთით, დაახლოებით 150 მეტრში მიედინება მდ. ორაფო.

2022 წლის 18 აგვისტოს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ი/მ ირინე კოსტავას კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷-ე მუხლის პირველი და 82²-ე მუხლის მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება და ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევა განმეორებით) შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №070441 და №070442 ოქმები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ლურჯი მოცვის და ტყემლის ნერგების მოსარწყავად წყლის ამოღება ხორციელდება მდ. ორაფოდან, ელექტრო ტუმბოს საშუალებით, რომლის წარმადობაა 6 ტ/სთ. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-746573, Y-

4643326. მდინარიდან აღებული წყალი გროვდება ტერიტორიაზე მოწყობილ 54 მ³ მოცულობის რეზერვუარში (სიგრძე - 9 მ, სიგანე - 3 მ, სიღრმე - 2 მ), რომელშიც ჩაფენილია გეომემბრანა (GPS კოორდინატები: X- 746394, Y- 4642621). წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სამელიორაციო სისტემაში გამოყენებულია 383 მეტრი სიგრძის d-63 მმ მქონე პოლიეთილენის მაგისტრალური მილი, ასევე 200 მეტრი სიგრძის d-40 მმ ქვემაგისტრალური მილები და ორი ერთეული ტუმბო. ერთი ტუმბო (6 ტ/სთ) განკუთვნილია მდინარიდან წყალაღებისთვის, ხოლო მეორე ტუმბო (18 ტ/სთ) საფილტრაციო-გამანაწილებელი სადგურიდან წვეთოვან სისტემაში წყლის მიწოდებისთვის.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია მდ. ორაფოს ჰიდროლოგიური მონაცემები. მდინარის სიგრძეა 12.46 კმ, ხოლო წყალსაცავის აუზის ფართობი - 13. 18 კვ.კმ. მდინარის მინიმალური ხარჯი - 0.05 მ³/წმ, საშუალო წლიური ხარჯი - 0.25 მ³/წმ, მაქსიმალური ხარჯი - 2.9 მ³/წმ. წყალსაცავის ლურჯი მოცვის და ტყემლის ნერგების მორწყვა ხორციელდება სეზონურად, 8 თვის (მარტი-150 მ³, აპრილი-250 მ³, მაისი-250 მ³, ივნისი-350 მ³, ივლისი-400 მ³, აგვისტო - 400 მ³, სექტემბერი - 350 მ³, ოქტომბერი - 150 მ³) განმავლობაში. მოსარწყავად გამოყენებული წყლის მოცულობა წელიწადში შეადგენს 2300 მ³-ს. მდ. ორაფოდან წყალაღება მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს მდინარის ხარჯზე და ჰიდროლოგიურ რეჟიმზე.

სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირება, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, არ არის დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება წყალაღების წერტილში და წყალმემკრებ რეზერვუარში განთავსებული ტუმბოები. სკრინინგის განცხადების თანახმად, წყალაღებისა და რეზერვუარის განთავსების წერტილიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილისა (504 მ და 460 მ) და ტუმბოების სიმძლავრის (6 ტ/სთ და 18 ტ/სთ) გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ტერიტორია არ წარმოადგენს ცხოველებისათვის მნიშვნელოვან საარსებო გარემოს. შესაბამისად, საქმიანობა არ არის დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობისა და მასშტაბის გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ანასეულის ტერიტორიაზე, ი/მ ირინე კოსტავას სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ი/მ ირინე კოსტავა ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ი/მ ირინე კოსტავას;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ი/მ ირინე კოსტავას მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო